

შპს „ადვ ტოგო“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს  
წარმადობის გაზრდის მიზნით დამატებითი ტექნოლოგიური  
ხაზის მოწყობა-ექსპლოატაციის პროცესის გარემოზე  
ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

9 აგვისტო, 2018

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს ჭიათურაში, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს წარმადობის გაზრდის მიზნით, დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობის პროექტის საჯარო განხილვისათვის 2018 წლის 20 ივნისს გამოქვეყნებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე<sup>1</sup>.

### ზოგადი სახის შენიშვნები

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ არის შესრულებული სკოპინგის დასკვნით<sup>2</sup> განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. გზშ ანგარიში არ მოიცავს:

1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ შემდეგ ინფორმაციას:
  - ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;
  - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;
  - ინფორმაციას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია: დაგეგმილი

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.  
ტელეფონი: 995 (32) 2221574  
ფაქსი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>1</sup> <https://bit.ly/2n3Vgva>

<sup>2</sup> <https://bit.ly/2McYCaJ>

საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

2. პროექტის საჭიროების დასაბუთებას;
3. ტექნოლოგიური ალტერნატივებს, შესაბამისი დასაბუთებით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ტექნოლოგიურ ალტერნატივას;
4. საწარმოში წარმოქმნილი კუდების მართვის საკითხებს, წარმოქმნილი ნარჩენი შლამების მართვის საკითხების დეტალურ აღწერას.

სკოპინგის დასკვნით გაწერილი სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია გზშ ანგარიშში, თუმცა, რიგი საკითხები კვლავ საფუძვლიან შესწავლასა და კვლევებს საჭიროებს, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითები.

1. გზშ ანგარიშის დასაწყისშივე ვხვდებით არასწორ ინფორმაციას, რაც სხვადასხვა გზშ თუ სკოპინგის ანგარიშებიდან ინფორმაციის გადმოწერით არის განპირობებული. კერძოდ:

- ტერმინთა განმარტებაში ვკითხულობთ, რომ სამინისტრო არის „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო“;
- ქვეთავი 3.2 „გარემოსდაცვითი კანონები“ გადმოწერილია შპს „ბაჯო“-ს ტყავის გადამამუშავებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან, რაზეც თავად გზშ ანგარიშში არსებული ჩანაწერიც მიუთითებს: „შპს „ბაჯო“-ს ტყავის გადამამუშავებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადების პროცესში გათვალისწინებული კანონების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 3.1“. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი კანონების ჩამონათვალი ვხვდებით ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტებს:  
⇒ საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“;  
⇒ საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“.

საქმიანობის განმახორციელებელი უნდა ხელმძღვანელობდეს დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით და არა - ძალადაკარგული ნორმატიული აქტებით.

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროებს, გარდა ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხებისა.

3. დოკუმენტში, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, არ არის წარმოდგენილი სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება.

### **ალტერნატივების ანალიზი**

საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების ანალიზის მთლიანი თავი გადმოწერილია შპს „სამნის“ მიერ შესრულებული შპს „ტოგოს“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს სკოპინგის ანგარიშიდან.

საქმიანობის განმახორციელებელი თავად აღნიშნავს, რომ გზშ ანგარიშში განხილული უნდა იყოს განთავსების ტერიტორიის, ტექნოლოგიის, სიმძლავრეებისა და უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, თუმცა არ განიხილავს დაგეგმილი საქმიანობის და მისი ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიურ ალტერნატივებს დამატებითი ხარჯის გამო.

## ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

1. ტერიტორიის არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათებისას (თავი 5.7 „ტერიტორიის არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა“), ნახსენებია მხოლოდ ნიადაგისა და მცენარეული საფარის მდგომარეობა. საერთოდ არ არის განხილული ფაუნასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ასევე გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტია.

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, მხოლოდ ჩამოთვლილია სახეობები და მათი ლათინური დასახელებებიც კი არ წერია: „ხეობის ფერდობებზე მცენარეული საფარი წარმოდგენილია ტყე-ბუჩქნარის სახით. ბუჩქების სახეობებია: თრიმლი, კუნელი, ასკილი, ზღმარტლი, ეკალა, მაყვალი და სხვა წვრილკენკროვანები. ხემცენარეებიდან გვხვდება მუხა, ცაცხვი, რცხილა, წიფელი, ნეკერჩხალი, ჯაგრცხილა, წვრილი ხურმა, თხილი, პანტა, მაქალო და სხვ. (სურათი 6.1 და 6.2.)“.

3. ფაუნაზე ზემოქმედების შეფასების დროსაც, არ არის სახეობები დაზუსტებული. ასევე, ამ შემთხვევაშიც ჩამონათვალი მხოლოდ ქართულ დასახელებებს მოიცავს და არა - ლათინურს: „ფერდობებზე არსებულ კლდოვან ხვრელებში ბინადრობენ: „მაჩვი, კვერნა, ყარყუმი (დედოფალა). ფრინველებიდან გვხვდება: ქორი, ძერა, ყორანი, მოლალური, შაშვი, ჩხიკვი, ბულბული. ქვეწარმავლებიდან: გველი, ხვლიკი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, მდინარე ყვირილაში გვხვდება წვერა და ქაშაპი“.

ფაუნაზე ზემოქმედების შეფასება მხოლოდ ვარაუდს ემყარება და არა დეტალურ საველე კვლევებს: „საპროექტო ტერიტორიის მდებარეობისა და ანთროპოგენური დატვირთვის (ცენტრალური საავტომობილო გზის სიახლოვე, საწარმოების არსებობა) გამო ტერიტორიაზე მსხვილი ძუძუმწოვრების არსებობის ალბათობა მიზერულია“ - ვკითხულობთ გზმ ანგარიშში. მნიშვნელოვანია, რომ ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება შეფასებულიყო არა მხოლოდ უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე, არამედ მიმდებარე ფერდობებზე.

4. გზმ-ს მიხედვით ნედლეულის განთავსება ხდება ორ ბაქანზე, რომელიც მობეტონებულია მადნის გაფანტვისა და სანიაღვრე წყლებისაგან დაცვის მიზნით. თუმცა, როგორც გზმ ანგარიშში 5.1 სურათიდან ჩანს ნედლეული არ არის მობეტონებულ ბაქანზე განთავსებული. მნიშვნელოვანია, ეს საკითხი დაზუსტდეს.

5. როგორც სკოპინგის ანგარიშში, გზმ ეტაპზეც, საქმიანობის განმახორციელებელი კვლავ იმეორებს რომ საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებული პროცესი ხანმოკლეა, ამიტომ „გარემოზე ზემოქმედებაც ხანმოკლე“ და „უარყოფითი გავლენა უმნიშვნელო“ იქნება. აგრეთვე, სამუშაოთა მოცულობის და ხანგრძლივობის სიმცირიდან გამომდინარე, არ მოხდა დეტალური გაანგარიშების ჩატარება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მიუხედავად საწარმოს მშენებლობის პერიოდისა (3 თვე) არ შეიძლება ითქვას რომ „გარემოზე ზემოქმედება ხანმოკლე“ იქნება, რადგან:

- მცირე პერიოდის განმავლობაშიც კი გარემოზე შესაძლოა მოხდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება;
- გარემოზე ზემოქმედება გრძელდება არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდშიც.

6. გზმ-ში წარმოდგენილი ცხრილი 7.2-ის მიხედვით, ფლორაზე და ფაუნაზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე, ბუნებრივ ლანდშაფტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, მაშინ როდესაც გზმ ანგარიშში ვერ ვხვდებით საფუძვლიან კვლევებს, რაც ზემოთწარმოდგენილ მოსაზრებას გაამყარებდა.

ნიადაგსა და გრუნტის წყლებს რაც შეეხება, როგორც ანგარიშშია (სურათი 5.1) მითითებული, ნედლეული განთავსებულია პირდაპირ საპროექტო ტერიტორიაზე; შესაბამისად, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც ნიადაგზე, ასევე, გრუნტის წყლებზე, რაც არ არის შეფასებული.

7. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყლებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოხდებოდა. თუმცა, აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არ აქვს დათმობილი გზმ ანგარიშში. მართალია, დოკუმენტში ზედაპირულ წყალზე ზემოქმედებაზე ცალკე თავია, მაგრამ თავის შინაარსიც და მოცულობაც არასერიოზულია. ავტორები ზემოქმედების შეფასებისას მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებიან: „წყალი ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, ამიტომ მნიშვნელოვანია ობიექტის წყალმომარაგების უზრუნველყოფა“.

8. გზმ ანგარიშში ერთი მხრივ ვხვდებით ჩანაწერს, რომ ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით შემარბილებები ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება, თუმცა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალში (ცხრილი 9.2) განსაზღვრულია ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი შემარბილებები ღონისძიების გეგმა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და რეალურად არ მოხდება მისი განხორციელება.

9. გზმ დოკუმენტში არ არის სათანადოდ განხილული საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზები/საშუალებები. მე-11 თავში ვხვდებით მხოლოდ ზოგადი სახის ჩანაწერებს: „საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში გარემოს წინანდელ სახემდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსასაზღვრად შემუშავდება საწარმოს ლიკვიდაციის პროექტი“; „ობიექტის ფუნქციონირების ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია შექმნას სალიკვიდაციო ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმას“.

10. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამს სამრეწველო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. განსაკუთრებით პრობლემატურია შლამებისა და კუდების განთავსება. დამატებით ზემოქმედებად ითვლება მათი ტრანსპორტირება და დასაწყობება.

გზმ ანგარიშში მე-7 დანართში ვკითხულობთ, რომ საწარმოო პროცესში წარმოქმნილი შლამებისა და კუდების საბოლოო განთავსება მოხდება „1. მდ. ნეკრისის ხეობაში ცოფის ქარხნების ყოფილ სანაყაროზე; 2. ღურღუმელას ყოფილ შლამსაცავზე“; - ბოლო რამოდენიმე წელია, თავად ჯორჯიან მანგანუმის და სხვადასხვა მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს წარმომადგენლები საუბრობენ, რომ ღურღუმელას შლამსაცავზე ნარჩენების განთავსება უკვე შეუძლებელია (ტერიტორია უკვე გადავსებულია), ამიტომ უნდა მოხდეს შლამსაცავისათვის ახალი ტერიტორიის შერჩევა.

დოკუმენტის მე-7 დანართშიც ღურღუმელას შლამსაცავი მოხსენიებულია, როგორც „ყოფილი შლამსაცავი“.

საჯარო განხილვაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით შპს „სამნი“-ს წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ ჯერ შლამების განთავსების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და მომავალში მოხდება ამ საკითხის დაზუსტდება. კანონმდებლობის მიხედვით, გზმ ანგარიშის ეტაპზე უკვე უნდა იყოს განხილული ნარჩენების განთავსებისა და ტრანსპორტირების საკითხი სრულყოფილად.

### **ზემოქმედება სოციალურ გარემოზე**

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში რამდენადაც დეტალურად არის განხილული პირველად დახმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, იმდენად არ არის შეფასებული საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაზე მოსახლეობაზე ზემოქმედება, რაც დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს.

1. არ არის შეფასებული საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის შეტანისას ადამიანების ჯანმრთელობაზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება; შესაბამისად, არ არის ამ ზემოქმედების აცილების/შემცირებისთვისათვის დაგეგმილი ღონისძიებები;
2. საქმიანობის განმახორციელების მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზმ ანგარიშში განხილული უნდა ყოფილიყო „გავლენის ზონაში მოქცეული ურბანული ზონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილება, როგორ დადებითი ასევე უარყოფითი მიმართულებით“, მიუხედავად ამისა, გზმ-ში მხოლოდ მიკერძობულად, დადებით ჭრილში წარმოდგენილ შეფასებებს ვხვდებით; შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ანალიზი გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში.

### **საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ საზოგადოების ინფორმირება**

2018 წლის 19 ივლისს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის დღეს მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქ. ჭიათურაში. როგორც მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობდა.

საჯარო განხილვის მსვლელობისას სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამინისტროს მიერ ინფორმაციის გავრცელება შემოიფარგლა მხოლოდ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე განცხადების გამოქვეყნებით. ასევე, გზმ ანგარიში მიეწოდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას.

საჯარო განხილვაზე სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე დასძინა, რომ სკოპინგის ეტაპზე ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ უფრო ეფექტური გზით უნდა გამოქვეყნდეს. გაუგებარია, რატომ არ ჩათვალეს გზმ ანგარიშის საჯარო განხილვის ეტაპზე იგივე ძალისხმევა გაეწიათ ინფორმაციის გავრცელებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ინტერნეტს საერთოდ არ იყენებს, გამოდის რომ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის არაფერი გაკეთებულა. საჭიროა, ინფორმაციის გავრცელება მოხდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებზე. ამის ვალდებულება სამინისტროს კანონმდებლობით აქვს განსაზღვრული, კერძოდ

სამინისტრო/დამგეგმავი ორგანო ვალდებულია საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განათავსოს როგორც სამინისტროსა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების ვებ-გვერდებზე, ასევე გზმ-ისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას: ტრანსპორტის გაჩერებაზე, სკოლასთან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან, სავაჭრო ცენტრთან, ფოსტის ოფისთან ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებთან.

განცხადების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსება და გზმ ანგარიშის ქ. ჭიათურის ადმინისტრაციაში წარდგენა მოსახლეობის ინფორმირებას და პროცესში ჩართვას არ უზრუნველყოფს, რაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, ორჰუსის კონვენციის, გარემოს დაცვის შესახებ კანონის და „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-94 ბრძანების მოთხოვნების უხეში დარღვევაა.